ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 39

ქ. ხონი 30 დეკემბერი,2019 წელი

ერთის მხრივ **ხონის საქველმოქმედო ასოციაცია „სათნოების სახლი“** (შემდგომში შემსყიდველი) წარმომადგენელი მისი დირექტორის თამარ გენძეხაძის სახით და მეორეს მხრივ მეორეს მხრივ შპს „ბუკა 2007” (მისამართი: ქუთაისი , ნიკიას მე-3 ჩიხი,N12 ს/კ 212884208 , ტელეფონი 574179942, შემდგომში მიმწოდებელი)მისი დირექტორი კახაბერ გიქოშვილის სახით „**გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე**“ , „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ „ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1.ტერმინთა განმარტებანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლში განმარტებულ ტერმინებს.

2.ხელშეკრულების ობიექტი

2.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან **2020 წლის 3 იანვრიდან - 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი შესყიდვის ობიექტი და მისი სავარაუდო ღირებულება:

2.2.1 **დანაყოფის კოდი -158 00000**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1375,44 (ერთიათასსამასსამოცდათხუთმეტი ლარი და 44 თეთრი**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიწოდების ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება საანგარისწორებო დოკუმენტაციის(სასაქონლო ზედნადებების და მიღება–ჩაბარების აქტი). შემსყიდველისათვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში უნაღდო ანგარიშწორებით.

5. მიღება–ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულების ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარისწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვა.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უდავო საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მომწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1ხელშეკრულების პირებობის, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსით 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.3 ხელშეკურულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთ შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.4 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელქტრონული საშულაბების გამოყენებით.

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთეა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

9.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი მხარის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არანაკლებ მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/ და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ განთვისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისათანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს **2020 წლის–10 თებერვლის ჩათვლით** .

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მომწოდებელი:
ხონის სა „სათნოების სახლი“ ხონი, დ. გურამიშვილის ქუჩა №1 საიდენტიფიკაციო კოდი:244960388 ტელეფონი:599 18 54 48 სახელმწიფო ხაზინა	შპს „ბუკა 2007“ ტელეფონი 574179942, ქუთაისი, ნიკიას მე-3 ჩიხი N12 საიდენ. ნომერი 212884208 თიბისი ბანკი TBCBGE22 ა/ა GE95TB7785536060100001

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი: Tamar Gendzekhadze

Подписано цифровой подписью: Tamar Gendzekhadze
Дата: 2019.12.30 13:05:22 +04'00'

მომწოდებელი: Kakhaber Gikoshvili

Подписано цифровой подписью: Kakhaber Gikoshvili
Дата: 2019.12.31 12:15:30 +04'00'

დანართი N1

საქონლის დასახელება	***ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები***	განზომილება	რაოდენობა	**ერთეულის ფასი** (ლარი)	სულ თანხა (ლარი)		
პური თეთრი	უმაღლესი ხარისხის , დამზადებული უმაღლესი ხარისხის ხორბლის თეთრი ფქვილისაგან, ქარხნული წარმოების , პურის გამოცხობისას დაცული უნდა იყოს შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესი არა დამწვარი, არ უნდა ქონდეს მჟავე გემო და სუნი ,დაჭრისას არ უნდა იფშვნებოდეს ტენიანობა, მჟავიანობა, ფორიანობა არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ ნორმებს ,პური უნდა დამზადდეს საწარმოში რომელსაც ექნება სურსათისა ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების სერთიფიკატი ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს პურპროდუქტების გადაზიდვისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებით სადაც დაცული იქნება სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები.პურის შემოტანის დროს უნდა ახლდეს ეტიკეტი , თითოელი პური უნდა **იყოს წონით 0,250 გრამი**	**კგ**	1034,2	1,20	1241,04		
ფუნთუშა	უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან, ქარხნული წარმოების , ფუნთუშის გამოცხობისას დაცული უნდა იყოს შესაბამისი ტექნილოგიური პროცესი, პროდუქტს უნდა გააჩნდეს მისთვის დამახასიათებელი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები .არა დამწვარი, არ უნდა ქონდეს მჟავე გემო და სუნი , არ უნდა იფშვნებოდეს ტენიანობა, მჟავიანობა, ფორიანობა არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ ნორმებს ,ფუნთუშა უნდა დამზადდეს საწარმოში რომელსაც ექნება სურსათისა ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების სერთიფიკატი ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს პურპროდუქტების გადაზიდვისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებით სადაც დაცული იქნება სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები. **წონით 0,100 გრ**	ცალი	560	0,24	134,40		
ჯამი					**1375,44**		

მომწოდებელი